ტამბა და რედაქცია
...ლისი, სასახლის ქ.,
...-აზნაურთ ქარვასლა

...მომწერნი გაზეთის დახაკვე-
...მართავენ რედაქციის დილის
საათამდე და საღამოს 6—7
...ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
...უწერავ წერილებს რე-
...ქცია არ ბეჭდავს.

...არ მოლაპარაკება რედაქ-
...ან შეიძლება ყოველ დღ ე-
...ფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
...აზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირება 5 მან.,



ტელეფონი 648.
ორთქლით მომუშავე სტამბა
ექვთიმე ი. ხელაძისა
საპერის ქუჩა საკუთარ სახლებში № 4.
(არსებობს 1873 წლიდამ).
ტფილისი

...ტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე ...ავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ...მატიური აპპარატებით.
...მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი- (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.
...მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.
...კისრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ...ენოვანი..., რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ...ებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბა-...არათებს და სხვ. და სხვ.
...საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ-...
...ტფილისის გარეშეთ შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: Въ ...флисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—14)



ექიმი
...გ. მ. ჩიქოვანი
...მღოვებს იღებს ყოველ დღე დი-... 11—12-მდე და საღამოს 7— 8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
...кторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.



...ურნალო და ამბულატორია
...თოფურიასი
ქუთაისში.
...ნალოში 50 საწოლია ავად-...ათვის მიიღებიან ავადმყოფ-...ნაგანისა, ნერვების, საქირურ-...გალისა და დედათა აგადმყო-...ფობისანი,
...თ ავადმყოფნი არ ...ლებიან.
...ოფთ სინჯავენ დილის 11 ...გან ნაშუადღევის 3 საა-...
...შინაგან და ნერვების ავად-...ბას სწამლობს ხ. ბ. თო-...
...საქირურგო ავადმყოფობას ...ფილისს ფ. ქ. გერრატი.
... ავადმყოფობას მკურნალი ...ალი გ. თ. კოგანი.
...ების ავადმყოფობას—ი. ქ

გარშამსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ხ. ბ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.


## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ქართლ-კახეთის საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

ბ. ფომინჩევი დროებით მნათეს თანამდებობათა აღმასრულებლად შიბაჯგის ფერისცვალების ეკკლესიისა, - 9 იანვარს.

მართლ-მადიდებლობას შეუერთეს: ყარსის სადარაჯო რაზმის მღვდელმა კონსტანტინე პოლიტოვმა რომის კათოლიკური აღსარების დარაჯი—ვალენტინ შპრუნი—და სახელად დაარქვა მას გრიგოლი.

ერევნის ღვთისმშობლის სათვრვლის ტაძრის მღვდელმა ალექსი თებზაძემ —ბაპტისტნი კურსკის გუბერნიის სუგდლინის მაზრის მცხოვრებნი მარკელ პრუდკოვი და მაკარი ჩუდნოვი.

ორდუბათის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიის მღვდელმა გიორგი ჩალაძემ სომეხ-გრიგორიანი, ქალ. ორდუფათს მცხოვრები გასპარ მაკარტის ძე გასპრიანცი და სახელად კონსტანტინე დაარქვა.

დამტკიცებულ არს აღმაშენებლობითი კომიტეტი შესაკეთებლად ნაქალაქარის ეკკლესიისა, ბლაღოჩინის მღვდლის ვლადიმერ გძელიშვილის თავმჯდომარეობით, შემდგარი წევრთაგან: მღვდლის იოანნე ზუკაკიშვილისა, მათვარ-დიაკვნის სუხიაშვილისა, საეკკლესიო მნათის პეტრე ბალანაშვილისა, სვიმონიანთხევის მღვდლის ალექსი გულისაშვილისა, ამტნისხევის მღვდლის რაფაელ ზუკაკიშვილისა, ბოჭორმის ეკკლესიის მღვდლის გიორგი თურქაძისა და გლეხების: დავით კარიაულისა, ალექსი აფციაურისა, დიმიტრი ფოცხვერაშვილისა, სოფრონ დოროწელისა და გიორგი ბაჰუკელაშვილისაგან— 4 იანვარს.

ეკკლესიის კურთხევა: ბლაღოჩინმა დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა მღვდლის სიმონ ჰუჰულაშვილის თანამწირველობით აკურთხა ახალციხის წმ. მარინეს ეკკლესია— 28 დეკემბერს 1898 წელსა.

## ახალი ამბავი

*** ახალი გუბერნატორი. გუშინ-წინ დეპეშამ გვაუწყა პეტერბურგიდან, რომ უმაღლესის ბრძანებით ტფილისის გუბერნიაში დაუნიშნავთ გუბერნატორად გვარდიის პოლკოვნიკი ივანე ნიკოლოზის ძე სვეჩინი, რომელიც სწორედ ამ ერთი წლის წინად დანიშნული იყო მთავრ-მართებლის ადიუტანტად.

ბ-ნი სვეჩინი ჯერ სრულებით ახალგაზდა კაცია და 36 წლისა არც კი იქნება, სამხედრო სამსახურში ითვლება 1885 წლიდან.

*** რკინის გზით მგზავრთა ყურადსაღები ამბავი. ამიერ-კავკასიის რკინის გზით ვისაც კი ერთხელ მაინც უმოგზაურნია, უეჭველია იგემებდა თუ რა არის რკინის გზის კასირები და რა სადავიდარაბოა ხოლმე ბილეთის ყიდვა—ხურდის მიღებას ერთი კაპიკიდან მოყოლებულ აბაზამდე აღარ ეღირსებით რაც უნდა მაგარი და ხელმოჭერილი კაცი იყოთ: კასირი წარბ-შეურხევლად მოგიგებთ: ხურდა აღარ გახლავთო!..

ეხლა რკინის გზის მიმოსვლის უფროს ბ-ნ შაიკევიჩს ბრძანება გაუცია, რომ კასირებმა აღარ გაბედონ კვლავ წვრილი ფულის უქონლობით ხურდის მიუცემლობა და მუდამ იქონიონ ხოლმე წვრილი ფულებიო.

*** ერკმან შატრიანის თხზულება ქართულ ენაზე. აგერ ეს მესამე წელიწადია რაც ჟურნალ „მოამბეში" იბეჭდება გამოჩენილი თხზულება ერკმან შატრიანისა ეგრედ წოდებული „გლეხი-კაცის ისტორია". ეს წიგნი ითარგმნება ფრანგულით ივანე მაჭავარიანის მიერ კარგის და ადვილად გასაგების ქართულის ენით.

ეხლა გამოდის კერძო წიგნებად მესამე და მეოთხე ნაწილი, რომელიც შეიცავს 500 გვერდს და შედარებით იაფია, ღირს ექვსი აბაზი.

ერკმან-შატრიანის რომანები საზოგადოდ და კერძოდ „გლეხი-კაცის ისტორია", განთქმულია მთელს ევროპის მწერლობაში, ვითარცა უტყუარი სურათი წარსული საუკუნის დასასრულისა საფრანგეთში. ეს წიგნი ერთსა და იმავე დროს ისტორიულიც არის, რომანიც და პოეტურ დასურათხატებაც იმ დროინდელ მომქმედ პირთა და მოვლენათა. ერკმან-შატრიანი ორი კაცი იყო, ორი მწერალი, ერთი ემილ ერკმანი, რომელიც ამ ცოტა ხანში გარდაიცვალა ლუნევილში და მეორე შატრიანი უკვე 1890 წ. გარდაცვლილი.

*** ანგარიში საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობისა ქართლ-კახეთის ეპარქიაში. ჩვენ მივიღეთ რუსულ ენაზე დაბეჭდილი ანგარიში შესახებ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობისა წარსულის 1898 წლის განმავლობაში ქართლ-კახეთის ეპარქიაში, შედგენილი ამავე ეპარქიის ზედამხედველის ბ-ნი ნიკოლოზ ტატიშვილის მიერ. საინტერესო ცნობებს ამ ანგარიშიდან დრო-გამოშვებით მივაწოდებთ ჩვენს მკითხველებს.

*** საბაღოსნო გამოფენები ქუ-

თაისსა და სოხუმში. მიწად-მოქმედების მინისტრს ნება დაურთვია, რომ ამ მომდინარე წელს გამოფენა გაიმართოს საბაღოსნო ნაწარმოებით ქალაქ ქუთაისში, 5 სექტემბრიდან 20-მდე და ქალაქ სოხუმში 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. ამ გამოფენებზე შესაძლებელია წარმოადგინონ ყოველ გვარი საბაღოსნო და საბოსტნეულო ნაწარმოები ხეხილები, თაფლი, ღვინო და სხვა მრავალი. ჯილდოებიც არის დანიშნული, 3 ოქროს მედალი, 10 ბრინჯაოსი და 10 ქების ბარათი.

*** მექარხნეთა თხოვნა. როგორც შევიტყვეთ, ტფილისის სასტალიარო ქარხნის პატრონებს მიუმართავთ თხოვნით გუბერნატორისთვის, რომ ნება დაგვრთეთ, ვამუშაოთ ქარგლები და შეგირდები დილის 6 საათიდგან, სალამოს 8 საათამდინო, ე. ი. დღეში მოდის 12 საათი მარტო მუშაობა. ჩვენ კი ვიცით, 1896 წ. გამოსულ სამუშაო წესებით, რომ ქარხნის პატრონებს არ შეუძლიათ 11-ნახევარ საათზე მეტი ამუშაონ დღეში. ვნახოთ რა რეზულტატს მიიღებენ. ეს კია, რომ ქარგლები და დღიური ხელოსნები ძალიან აღელვებულნი არიან ამ ამბით. უკან ჩამორჩენა ამაზე მეტი-ღა გინდათ? მთელი ევროპა და რუსეთიც სცდილობენ, რომ რამე ნაირად შეამცირონ დრო მუშაობისა ქარხნებში და აქ, ჩვენში კი, პირიქით უკან-უკან იწევიან...

*** სახალხო თეატრი. ოპერეტის აქტიორს ბ-ნ ბოგდანოვს მშვენიერი აზრი მოსვლია: ნიკიტინის ცირკი გადააკეთოს სახალხო თეატრად და ყოველ დღე წარმოდგენები მართოს. იაფ-ფასიანი ადგილები მრავალი იქნება თურმე. ფასები იწყება 10 კაპ. ვიდრე ერთ მანეთამდე.

როგორც ისმის ამ თეატრში რუსული წარმოდგენების გარდა ქართული წარმოდგენებიც იქნება. ქართული წარმოდგენების მართვას კისრულობს ჩვენი ნიჭიერი არტისტი ბ-ნი ვასილ აბაშიძე.

*** იჯარების გაცემა ყარსის რკინის გზაზე. ამავე რკინის გზის მმართველი საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამდეგის თვის 3-მდე მიიღება თხოვნები ყველასაგან, ვისაც-კი შეუძლიან და სურს იჯარით იკისროს გზის ლიანდაგის გაყვანა ალექსანდრეპოლიდან (გუმბრი) ერევნამდე.

*** კონდუქტორის მოკვლა. 24 მარტს დილა ადრიან ნახეს ვაგზალთან მოკლული კაცი ხიდ ქვეშ, რომელზედაც გადადის რკინის გზა; ნავთის საწყობის „სვეტის“ წინ. ადგილი მიყრუებულია. მანამ გამომძიებელი მოვიდოდა, ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი საცქერლათ. მოკლული არც დანით იყო დაჭრილი, არც ტყვიით, მხოლოდ თავში რაღაც დარტყმულიო. ტანისამოსი ისევ ხელუხლებლად ზედ ეცვა, ჩექმები და კალოშები. მოკლული აღმოჩნდა რკინის გზის სახალხო მატარებლის კონდუქტორი გვარად აქსენიევი, წვრილ ცოლშვილის პატრონი. საწყალს ცხრა შვილი ჰყოლია ცოლიც ფეხმძიმეთ. თითონაც არ იყო ხნიერი სწორედ ცხრა საათი შესრულდა როცა გამომძიებელი მოვიდა. ერთი საათის შემდეგ მოკლული მიხეილოვის საავადმყოფოში წაასვენეს.

ხალხი აქა-იქ ამბობდნენ შემდეგს: ვითომ რკინის გზის ლიანდაგზე მდგომარე დარაჯებს ეცემოთ და გადმოეგდოთ, რადგან ეს ერთი თვე იქნება, რაც რკინის გზის მმართველობამ დააყენა ტფილისის სადგურიდან თითქმის ნავთლუღამდე დარაჯები, რომ არავინ გაუშვან რკინის გზის ლიანდაგზე, არამც თუ გარეშე პირი, თვით მოსამსახურენიცაო. გამოძიება სწარმოებს.

*** დ. ძველი-სენაკი (სამეგრელო) აქაური ამბები. სამეგრელოს დანარჩენ დაბებთა შორის თუ პირველი არა, მეორედ მაინც კი მოაქვს ამ დაბის მკვიდრთ თავი. აქაურები იმითი ყოყოჩინობენ, რომ, რადგანაც, როგორც სახელი გვიმტკიცებს „ძველი-სენაკი“ დიდი ხნის დაარსებული დაბაა იგი, მაგრამ რა გამოვიდა. ამ საწყალს დაბას, არც მატება ეტყობა და არც დაკლება. მისი ცხოვრების მაჯა ერთნაირად სცემს. ოღნავ-მაშინ გამოაჭყეტს თვალებს, როდესაც იარმუკობა იმართება აქ მარიამობის თვეში. ეს იარმუკა რომ არ იყოს დაარსებული აქ, თქვენი მტერია, ძველი-სენაკი მთლად აღიგვებოდა სამეგრელოს მიწიდან. ან და რამ უნდა ასაზრდოვოს საწყალი ძველი სენაკი, მაშინ, როდესაც უპირველესობა ახალ-სენაკმა ჩამოართო და იგი დასტოვა მშრალ-რიყეზე. აქაურები მუდამ იმის ფიქრსა და საგონებელში არიან თუ როგორ ჩამოართონ ახალ-სენაკს უპირველესობა. ძველი-სენაკის მკვიდრი ძალიან გამჭრიახნი არიან და ამ გვარი ადამიანები ახალ-სენაკში რომ იყოს, ახალ-სენაკი დღევანდლამდი ქალაქის სახელით იქნებოდა მონათლული. ძველ-სენაკელებს თვისდა საუბედუროთ, სძინავთ,ხ ვრინავსთ მხართეძოზე წამოწოლილნი, აქაურების უპირველესი იდეალი, როგორც მოვაჭრეებისა ისე ახლო-მახლო მცხოვრებისა ის არის, რომ ბანქო ითამაშოს და ერთმანეთს ორიოდე კაპეიკი წაართვას. ნარდ-ქაღალდის თამაშობა ისე შეუსისხლ-ხორცებიათ, რომ უმთავრეს დანიშნულებათ გარდაქცევიათ წიგნების კითხვა რა არის იმათ არ იციან და თუ იციან, აბა სად ცხელათ, როდესაც ბანქო აქვთ სათამაშო. თუ კი მოიცლიან ჟურნალ-გაზეთი მათთან შორს არის. გაზეთი საჭმელია თუ სასმელი არც კი იციან. ასე წარმოიდგინეთ, მთელი დაბა რო დაიაროს კაცმა, ერთს გაზეთს ვერ იპოვის კაცი აქაურის მოვაჭრისა და მცხოვრებლების სახელზე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებსა, მაგრამ... (პო, ამათაც არ იფიქროთ, ვითომ ბლომად ქონდეს გამოწერილი გაზეთები). ყველასათვის ცხადია, რომ გაზ. „ცნ. ფურც.“ სხვა გაზეთებთა შორის იაფია და ხელ-მისაწდომი ყველასათვის, მაგრამ სანაძლეოს მოვალ თუ კი ვინმე ან მოვაჭრე, ან მცხოვრებლები და თუ გინდათ აქაურ „პედაგოგებს“ ექნება გამოწერილი, ჩვენ მაშინ ვიქნებით მტყუანი და სანაძლეოს მივართმევ იქაურებს ორს ახალს და ჯერ გაუხსნელს სათამაშო ბანქოსა. ჩემის სიტყვების დასამტკიცებლად ვსთხოვ რედაქციას შენიშვნა მისცეს ჩვენ სიტყვებსა მკითხველის დასანახვებლად, თუ ვსცდებით ჩვენ. აი ამ გვარი დაბის მოვაჭრეები თუ მცხოვრებლები საზოგადოებაში იკვეხის: „ჩვენ ვართ სამეგრელოის დედაბოძნი და პირველობა ჩვენ გვეკუთვნის-“ო. ამ გვარს უკან, უკან ჩამორჩენილებს, არამც თუ პირველობა, არამედ მჭადის ნატეხის და ხახვის ფოჩის ღირსიც არ არის. აქაურები ბევრს საქმეს ეპოტინებიან, ასე თუ ისე, დაბის გასაძლიერებლად, მაგრამ ყველგან და ყოველთვის კოჭი ალჩუში უდგებათ, „დუშაში კამანთელო“ გონიათ. ენით დიდი და საქმით პატარა ბრძანდებიან... სასურველია, აქაურებმა, ნაცვლად ნარდ-ბანქოსი, სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელი, თორემ ეს მაინც იციან და სხვა, რომელიც უფრო საჭიროა ადამიანისთვის, როგორიც არის ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, მათ კითხვას მიჰყონ ხელი.

ისევ ის ვარ

*** აკეთი. ისევ ბიბლიოთეკის შესახებ. როგორც წარსული 1898 წლის რევიზიის წევრების ანგარიშმა დაგვანახვა აკეთის ბიბლიოთეკის საქმე არა სასიამოვნოდ. დღეს სთხოვენ „ცნ. ფურც.“ ის № 777 ბიბლიოთეკის გულ-შემატკივარი, რომ ბ. გამგემ გულ-

ახდილად, გამოაქვეყნოს ბიბლ
თეკის შემოსავალ-გასავალი 1
წლის სექტემბრიდან და რამდე
შესაძლებელი იყოს დაკარგუ
წიგნების სათაურები და მით
პოს საზოგადოებაში მითქმა-მ
ქმაო. ჩვენ იმ აზრისა ვართ,
დაკარგული წიგნების სათაურ
ამოწერას იმდენი შრომა მ
დება, რამდენიც მთელი ბიბ
თეკის გადაწყობას და ახალი
ტალოგის შედგენას, და უმჯ
სი იქნება, როდესაც ახალი
ლოგი შესდგება, მაშინ ი
გამოქვეყნებული დაკარგული
ნების სათაურები; ჩვენ ცხ
დავინახეთ, რაც ბ. გამგემ ჯ.
ჟუნაიშვილმა თავის განკარგ
ბით ბიბლიოთეკა სკოლას მოა
რა, მერე იწყო ბიბლიოთეკამ
ქრობა და იმ დალოცვილმა
გადაიტანა ბიბლიოთეკა, ა
შეკითხებია იმ პირებს, რო
თაც დიდი შრომა გადაიხად
ბიბლიოთეკის დაარსებაზე.
ბიბლიოთეკა სოფლის სას
ლოს კარებზეა მიდგმული
მკითხველი ვინმე დარჩა, და
ბათავზე 60 წლის ბერიკაც
დაუწყებს კითხვას: მამასახ
სად წავიდა, ან როდის მ
და თუ გაახსენდა, ახალი ამბ
სწერიაო ჰკითხავს ხშირად სო
სასამართლოდგან ისეთი ყვი
და ხმაურობა ისმის, რომ
უნებურად მიიქცევს მკითხ
ყურადღებას. დღეს ბიბლიო
სამში ერთი დარჩენია: 1)
გას თავის ადგილას, სადაც
ნად იყო და დაევალოს გამ
სოფლის მასწავლებლებს, ან
დგეს ისეთი ბიბლიოთეკარი,
მელსაც შეეძლოს ბიბლიო
მოვლა. ან გვეცოდინება,
გურიის სახალხო წიგნთ
გაჰქრა. სადაც ეხლა სდგას
ლიოთეკა, იქ მასწავლებლებ
ვლას ვერ შესძლებენ, რადგან
რებულია ღ ალმართ-დაღმართ
იმედია, ის პატივცემული პ
რომელთაც დიდი შრომა გა
დეს დაარსებაზე, კიდევ მოხ
დაეხმარებიან კატალოგის
ნაზე და დააყენებენ ბიბლიო
უკეთეს ნიადაგზე და არ გა
ბენ ამ ლამპარს მომავალ
ზღობას.

რევიზიის წევრი დ

*** ს. ბოდბისხევი. (
ჭირ-ნახული. წარსულმა წე
სასიხარულო სხივი ვერ
ჩვენს სოფელს, როგორ
ქიზიყის სოფლებს. პირ
მოსავლისა არც მომდურავ
და არც თუ მადრიელნი.
ღვინის მოსავალი კი ერთ
მოგვწყრა, ჯერ არის, რო
სოფლის ზოგიერთა ჰქვის
ფებს დღესაც არა სჯერ

შეწამლოს რა სარგებლობა
, თუმცა მაგალითს თვალი·
ედავენ, შეწამლულმა ვენა-
როგორ დააჭილდოვა ანაგა
ახი ასე, რომ მამა-პაპით
ქვევრები წრეულს გაავსეს
მაგრამ, მაინც ღვინის სი-
ერ მოათავსეს და სხვა სოფე·
ქირაობდნენ ქვევრებს
დასაყენებლად. და ზოგი-
თუმცა შეწამლეს, მაგრამ
ბუნების მოვლენა სეტყვამ
ფურათ. და ამ სანახობამ
უიმედობაში დაავდო ხალ-
რომ ვერ წარმოუდგენიათ
გახდებიან თავიანთ ვენახე·
ნ ღვინის ღირსი თუ არა.
უკან ჩამორჩენა და დაქვე-
არამგონია, რომ ასე ყოველის
უკან ჩამორჩენილი სოფე·
იპოვებოდეს საქართველოს
ლსამე კუთხეში, როგორც
სოფელია. მაგალითად: წე-
თხვის სიგლახაკე, და ეკო·
ურათ სილატაკე ისეა გამე-
ლი, რომ კაცს ნახვას უმალ
ლის მხრით უკუღმართობის
თი ცხოკლად დეხატება
ს წინ. არ იქნა ერთი გულ
ყივარი პატრონი არ აღმო-
ა, რომ ჩვენთვის აეხსნა
-ცოდნის სიკეთე, ესწავ-
ნა ცხოვრების უკეთესად მო-
ბი იარაღების შეძენა, რომ
ჩვენი ხალხიც გამოფხიზ-
ლიყო და დახწეოდა ამ გვარს
ვებულ ცხოვრებას. ეს მესამე
ობა შესრულდა რაც განათ-
ლი მამასახლისები გვყავნდ-
ა ჩვენმა ხალხმა ცოტა სუ-
ოიბრუნეს სოფლის მყვლე-
ის ალაგმვით, და საუბედუ-
ეხლა კი მოსპეს ნასწავლი
ახლისების ყოლა, და ამოირ-
იმისთანა უსწავლელი პირი,
ლსაც მარტო საკუთარი მოთ-
ილების დაკმაყოფილება აქვს
ლისწინებული და არა რო-
მე სოფლის საკეთილ-დღეო
, რომელიც უკვე ცნობილია
ახლისობით ამ ათი წლის წი-
. მაგრამ, ხალხმა წარსული
იწყა და მომავლისათვის იმე-
ის თვალით შეჰყურებენ.
რთმან ჰქნას, რომ ბ. მამასახ-
მა ენერგიით სავსე გრძნობე-
იზრუნოს ხალხის საკეთილ-
ოთ.

იროდიონ ტაროაშვილი

* ს. უჩაშონა. (სამეგრელო)
დობა შემოწირულებისათვის.
ონო რედაქტორო, უმორჩი-
დ გთხოვთ თქვენის პატივ-
ული გაზეთის საშუალობით
ლითადესი მადლობა გამოუ-
ოთ ზუგდიდის მოვაჭრე
აგთ კონსტანტინე მაქაცა-
და ანდრო ჯაბუას, რომ-
მაც რწმუნებულ ჩემდამო ეკკლესიას შემოსწირეს ერთი ხელი დაფარნები, რომელიც შეადგენს საუკეთესო ხელობას. მით უმეტეს კონსტანტინე მაქაცარიასთან ვპოვებ ნამდვილ ქრისტეს სარწმუნოებას, რადგან ხუთი თვის უკან შემოსწირა კიდევ ჩემს ეკკლესიას გვირგვინი, და რადგან ცდილობს ეკკლესიის შემწეობას, ღმერთი იყოს მისი შემწე ყოველ კეთილ გზაზე და სხვებსაც მიებაძვოს მისი კეთილ მოქმედებაზე.

მღ. ბეს. როგავა.

## სამეურნეო ცოდნა

**მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)**
(შემდეგი *)

ფითრი (ქართული, იმერული, გურული,) ნიკვვი, ვევი (მეგრული), მგამურდჱ (სომხური), იელშეკ (თათრული), კარჩი-კახ (ოსური), ომელა (რუსული), ვისკუმ ალბუმ (ლათინური) ეს უსარგებლო მცენარეც სხვის ხარჯზე, ე. ი. საზრდოთი სცხოვრობს, ხოლო ამან ხის ტოტებზე იცის ამოსვლა, უფრო ხშირად მრავლდება მსხალზე, ვაშლზე და ვერხვზე, ამ მცენარეს უყვარს ნოტიო წელიწადი, რამდენადაც სინოტივე მეტი ექმნება, იმდენად მალე ხშირდება, იზრდება თავისუფლად და მოკლე დროის განმავლობაში მცენარეს უსპობს სიცოცხლეს: ფითრი მორგვალო აგებულებისაა, რომელიც შესდგება მრავალ პატარ-პატარა ყლორტებით, წვრილი, ვიწრო მოყვითანო ფოთლებით და მსხვილ საფანტის ოდენა მოთეთრო ნაყოფით, რომელიც წებოსავით ეკვრება ადამიანს თითებზე; შორიდან რომ ნახოთ ფითრი, გეგონებათ ტოტებზე ნახევარ ბუჩქიანი რგვალი მცენარეები დაურგავთო. ამ უსარგებლო მცენარის (ფითრის) გაჩენა უნდა მივაწეროთ ორ-გვარ მიზეზს: 1) ფითრი უჩნდება მაშინ, როდესაც ხეები არიან დარგულნი ჭაობიან, ან მომეტებულ ნესტიან ნიადაგში; 2) ან კიდევ, როდესაც ხეები მოკლებულნი არიან საზრდოს (ნოყიერობას). პირველ შემთხვევაში იმ ადგილში, სადაც ხეხილია დარგული, რამდენიმე ადგილას არხები უნდა გაითხაროს და ამ რიგათ მოსპოთ სინესტე, მეორე შემთხვევაში კიდევ ხეხილის გარეშემო ერთ საჟენის სიგანეზე და ერთი არშინის სიღრმეზე ამოთხარეთ, მიწა გადაყარეთ ცალკე, იმ მიწის მაგიერ ხის ძირში ჩაყარეთ დამწვავებული საქონლის ფეინი, ან კიდევ ოქრო (კარაქა) მიწაში არეული, ოღონდ ორი ნაწილი ოქრო უნდა იყვეს და ერთი ნაწილი მიწა. მარტო ამისთანა ღონისძიებით შეიძლება კაცმა გადაარჩინოს ხეხილი ამ სენისაგან. მის ნორჩ ყლორტებს და ფოთლებს ხმარობენ აფთიაქებში, შეშინებულ ისტერიკიან და სხვა ნაირი ავადმყოფობის წინაალმდეგ. ფითრით ჰკვებავენ ცხვარს და საქონელს, გარეულ პირუტყვებიც და ფრინველებიც იკვებებიან ამ ნაყოფით.

**ქაცვი, ჩხარდელა, ჯაკუდნა** (ქართული) ზულუყურა (მეგრული) ჩიჩხან (სომხური) კოზმაკ (ჩერქეს.) ჩემგხას-ხოხო (ლეკური) ობლეპიხა (რუსული) გიპოფეია რამნოიდეს, (ლათინური). მცენარე გვარობს ყველგან ამიერ კავკასიაში ყველა ნიადაგზედ. სხვა მცენარეებივით არ არის ნაზი, არ ეშინიან არც სიცივისა, არც სიცხისა, უყვარს ნოტიო ადგილები, ამისათვის მას მომეტებულ ნაწილად შეხვდებით წყლის ნაპირებზე. ამ მცენარეს მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება, ჯერ ერთი როგორც გამძლე მცენარე მის მასალას ხმარობენ ვენახებში ჭიგოთ, მეორედაც, როგორც ხშირი ეკლიანი მცენარე მას ამრავლებენ ცოცხალ ღობეების მოსაშენებლად (для живыхъ изгородей) აქვს მოთეთრო ვიწრო და მოგრძელო ფოთლები, ყვითელი მომჟავო ნაყოფი (მსხვილ საფანტის ტოლა) ეს ნაყოფი უპირველეს საჭმელს შეადგენს ხოხბებისას, ამისათვის სადაც ეს მცენარე გვარობს, იქ უეჭველია ხოხბების გროვა, ბინა უნდა იყვეს. გარდა ამისა, მის ნაყოფს ხმარობენ სხვა და სხვა სასმელების გემოს მისაცემათ. როგორც შნოიანი მცენარე ნაყოფით და ფოთლებით, მას ხშირად რგავენ ყვავილნარებში და ბაღებში შნოს გულისათვის. მრავლდება: თესლით, გადაწვენით, ფესვების გაყოფით და ბლარტებით, გაზაფხულობით და შემოდგომობით.

**დიჭა, ბურწუმალა,** (ქართული) ეკალა, (იმერული გურ.) კორჩხელი, კაჩილარი (მეგრული) ამახ (აფხაზური) გირჩი (ლეკური) ღერეზა, პავოი (რუსული) სმილაკს ეკცელზა (ლათინური) ეს მცენარეც გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, ტყეში და ბარდებში, ამასაც უყვარს ნოტიო ნიადაგი, ეს მცენარე ძალიან გრძლათ იბამს თავის ყლორტებს, და ძალიან მაღლაც, ადის ხეებზედ, რის გამო რომელ ტყეშიაც ხარობს ლიჭი, იმ ტყეში არც ადამიანს, არც ნადირს არ შეუძლიანთ გაიარონ თავისუფლად. იცის მსხვილი მწვანე ფოთლები და მუხუდოს ტოლა წითელი რგვალი ნაყოფი. ეს ნაყოფი შეადგენს მშვენიერ საჭმელს ფრინველებისა მეტადრე შაშვებისას, მასალამ დიდი მოთხოვნილება არა აქვს მეურნეობაში, ხოლო მის ყლორტებით სწნამენ კალათებს. თუმცა ზოგიერთ ადგილებში მას ხმარობენ ცოცხალ ღობეების მოსაშენებლად, მაგრამ მე ჩემის მხრიდამ არ ურჩევ ჩვენ მემამულეებს, რადგანაც ამანაც მაყვალივით იცის აქეთ-იქით გაბმა თავისი ტოტებისა, თუ დრო გამოშვებით არ გაიკრიჭა (გაისხლა) უეჭველად შნოს და ლაზათს დაუკარგავს ღობეს, ხოლო მის ფოთოლს ხმარობენ მუწუკების და იარების გამოსარწყავათ. მაგალითად, როდესაც მუწუკი დაჩირქდება აიღეთ ერთი ფოთოლი, დაასველეთ წყალში და ისე დაადეთ დაჩირქებულ მუწუკს, ერთი ან ორი საათის შემდეგ მუწუკი გამოირწყვება. (ოღონდ გამოსარწყავათ მომზადებული მუწუკი და არა მკვახე). მრავლდება თესლით და ფესვებით. გაზაფხულობით და შემოდგომობით.

არჩილ დარეჯანაშვილი
(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 782.

## რჩეული აზრები

✦ ბედის წერას არავითარი ზედგავლენა არა აქვს ადამიანის ზნეობრივ საქციელზე.

✦ ბედნიერი სიფრთხილეა ვინც თავის ენას დროზე შეიმაგრებს ხოლმე.

✦ დაფლეთილ ტანისამოსში, რა თქმა უნდა უფრო გამოჩნდება რაიმე ნაკლი კაცისა, ვიდრე მდიდრულ ტანისამოსში, რომელიც ყოველ ნაკლს ფარავს.

✦ გამუდმებულის ჯაფით და დაფიქრებულის და დაუღალავის მეცადინეობით ადამიანმა შეიძლება ყოველივეს მიაღწიოს—მრუდე მუხაც კი გასწორდება.

✦ სენეკამ სთქვა: „თუ როდისმე მომინდა მასხარასთან ბაასი და მასზე დაცინვა, შორს არსად მივდივარ: მე ჩემს თავს დავცინი ხოლმე“.

✦ იღბალი მეტად მოუსვენარი რამ არის, ხშირად თვით იღბალშიაც ბევრი უიღბლობაა ხოლმე.

## ყურმოკრული საუბარი

ერთ ახალგაზდა კაცს მიეცა ჩოხა შესაკერავად, მხოლოდ მკერავი სულ ერთ თავად ატყუებდს და ჰპირდება თუ დღეს-ხვალ იქნება მზათაო.

ბოლოს ვეღარ ითმენს ჩოხის პატრონი და მოწმის თანადასწრებით ლანძღავს.

— კაცო, რა ჭნამოსო რამ ყოფილხარო! მკერავი ხელს ჰკიდებს მოწამეს და ეუბნება:

— გესმის როგორ მლანძღამსო?

— დიახაც მესმის, რომ უნამუსო კაცი ყოფილხარო!

## გასართობი

—

ერთი მდიდარი კაცი იტყოდა ხოლმე: „წინედ როცა ახალგაზდა ვიყავი და ჯანმრთელი მშვენიერი მადა მქონდა და კუჭიც მაგარი, მაგრამ ფულები არა მქონდა, რომ შესაფერად მეჭამნა; ეხლა ფულები მაქვს და შეძლებაც ბევრი, მაგრამ ჭამა არ შემი. ძლიან, რადგან მადაც არა მაქვს და კუჭიც მოშლილი, მახლას!"

—

სოსიკო ებაასება კოტეს — სოსიკო მონადირე, კოტე მსახიობი.

— აბა, თუ ბიჭი ხარ გამოიცან კოტე, რამდენი დათვი მომიკლავს მე ჩემს სიცოცხლეში.

— რა მოგახსენო, იქნება ბევრი დაგეხოცოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ასჯერ ნაკლები, რასაც შენ დაიტრაბახებ!

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

რა ჯდება რუსეთში თითო სტუდენტი. ამ ორი წლის წინედ მომხდარი ანგარიშიდანა სჩანს, რომ მთავრობას თითო სტუდენტი დასჯდომია:

| | |
|---|---|
| პეტერბურგის უნივერს. | 930 მან. |
| ხარკოვის . . . . | 1,228 — |
| მოსკოვის . . . . | 1,442 — |
| საინჟენერო . . . | 1,634 — |
| ელექტრო-ტეხნიკური . | 1,880 — |
| ტეხნოლოგიური . . | 2,174 — |
| არხიტექტორი . . | 2,406 — |
| სამთო ინჟენერი . . | 3,764 — |
| სამხედ. საექ. აკადემია | 4,315 — |
| ისტორ. ფილ. ინსტ. | 10,664 — |

ამ ინსტიტუტში შარშან წინ სწავლა დაუმთავრებია 11 სტუდენტს, ხოლო დახარჯულა ინსტიტუტის შენახვაზე 107,357 მან.

## ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდამ (1629 წლიდგან). *)

### პეტერბურგის სტამბა.

პეტერბურგში, სამეცნიერო აკადემიას დაუარსებია ქართული სტამბა 1805 წ.

1) ჭეშმარიტნი ისტორიულნი დამტკიცებანი ნამდვილ მყოფობისა ქრისტესი ქვეყანასა ზედა ს.-პეტერბურღს 1819 წ.

2) ქეთევან დედოფლის წამება, ლექსათ თქმული დიმიტრი ბაგრატოვანისა და დაბეჭდილი 1817 წ. ს.-პეტერ.

3) ლექსიკონი რუსულიდან ქართულად, შედგენილი დ. ჩუბინოვისაგან 1846 წ. ორ ნაწილად, პეტერბურგს.

4) შემოკლებული რუსულ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი დ. ჩუბინოვისაგან 1858 წ. პეტ.

5) მეთოდური ლექსიკონი, ქართულ-ფრანგულ-რუსული შედგენილი ალ. სულხანოვისა, დაბეჭ. 1839 წ. პეტერ.

6) სომხურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი და დაბ. 1788 წ. პეტერ.

7) ვეფხის ტყაოსანი, შ. რუსთაველისა, გამოც. 1841 წ. პეტერბურგს. მეორედ დაბეჭდილი 1860 წ. იქვე.

8) ქართული ქრისტომატია, შედგენილი დ. ჩუბინოვის მიერ 1844 წ. პეტერბურგს.

9) ქართული ქრისტომატია, მეორე წიგნი, გამოცემა მისივე პეტერ. 1863 წ.

10) ქართლის ცხოვრება, დასაბამიდან მეათცხრამეტე საუკუნემდე, ბროსეს გამოცემა, პეტერბურგი 1850 წ., ნაწ. პირველი.

11) ქართლის ცხოვრება, ნაწ. მეორე, გამოცემა დ. ჩუბინოვისა პეტერ. 1853 წ.

12) ნაბოძები ღრამატა აზნაურთადმი რუსულ-ქართულათ 1811 წ. პეტერ.

13) განსჯა არისტოტელისა კეთილისათვის და ბოროტისა, თარგმნილი ლათინურიდან რუსულად, ხოლო რუსულიდან ქართულათ ნათარგმნი მეფის ძის თეიმურაზისაგან და პეტერბურგს დაბეჭდილი 1818 წ.

14) გეოგრაფიული ლექსიკონი ახალი აღთქმისა, რუსულიდან ქართულათ ნათარგმნი ტარასის მღვდელ მონაზონის მიერ 1824 წ.

15) ყვავილის აცრა, რუსულიდან ქართ. ნათარგ. გოდერძი ფირალოვისა, პეტერ. 1805 წ.

16) საქართველოს ისტორია, თეიმურაზ ბატონიშვილისა 1843 წ. პეტერბურგი.

17) სიბრძნე სიცრუე, გამოცემა დ. ჩუბინოვისა, პეტ. 1858 წ.

18) ქართველ მეფეებთაგან უცხო სახელმწიფოებთან მიწერ-მოწერა.

19) საპასექო ცხრილი, ქმნილი იოანე შავთელისა, თარგ. ბროსეს მიერ და გამოცემული სამს ენაზე 1849 წ. პეტერ.

20) კაცია ადამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა, გამოცემა მიხ. ბეთანელისა, პეტ. 1868 წ.

21) ჩონგური, ანუ საუკეთესო ლექსთა კრება ქართველ მწერლებისა, შეკრებილი და გამოცემული კირილე ლორთქიფანიძისაგან პეტერ. 1866 წ.

22) ენციკლოპედიური სლოვარი, რუსულიდან ნათარგ. გიორგი ჩუბინოვის მიერ და დაბეჭდილი 1823 წ. პეტ.

23) თვით მასწავლებელი რუსულ-ქართულ ენისა, შედგ. გ. ფირალოვისა, პეტერ. 1820 წ.

24) შემოკლებული ქართულ-რუსული გრამატიკა, დაბეჭდილი პეტ. 1802 წ.

25) საზოგადო მდივნობა რუსულ-ქართულად, დაბ. 1830 წ. პ.

26) ლონე და შეწევნილობა, რომლითაც იხსნება ერთ ყვავილისაგან, თარგ. რუსულით, გ. ფირალოვისა, პეტ. 1808 წ

27) საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა 1880 წ.

28) შანშოანის გრამატიკა.

29) ქართული გრამატიკა, დ. ყიფიანისა 1882 წ.

30 ქართული გრამატიკა დ. ჩუბინოვისა.

31) სიბრძნე ბალავრისა.

32) ყვავილის აცრისათვის, გ. ფირალოვისა, 1808 წ.

33) ქართული გრამატიკა შანშოვანისა, 1881 წ. პეტ.

34) სამ ენეული ლექსიკ[illegible] ბროსე და ჩუბინაშვილისა 184[illegible]

35) სწავლა-აცრისათვის, [illegible] დამცველისა ყვავილისა, პეტ[illegible] 1815 წ.

36) ლექსიკონი საუნჯე, [illegible]თული ენისა, დ. ჩუბინაშვ[illegible] 1887 წ. პეტერბურგს.

(შემდეგი იქნება)

## რედაქციისაგან

—

**თელავი** თ—ე ლ ს. განა ყველაზ[illegible] და იწერებოდეს ქება დიდება. აგრე [illegible] გავაიაფოთ ქება, მაშინ ნამდვილ მოღვ[illegible] რაღა ვუყოთ.

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 781.

## განცხადებანი


# „НИВА"

Подписчики „НИВЫ" получаютъ въ 1899 г.:

**52 №№** журнала „НИВА" (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).

**12 ТОМОВЪ** ПОЛНАГО СОБРАНСОЧИНЕНІЙ И. А. ГОНЧАРОВА, которое явится первымъ по полнотѣ содержанія (такъ какъ въ него войдутъ разсказы, не помѣщен. въ прежн. изданіяхъ, стоящихъ **13 руб. 50 коп.**) и будетъ отпечатано на хорошей бѣлой глазированной бумагѣ.

**Подписная цѣна „НИВЫ"**

на годъ со всѣми приложеніями:

Безъ доставки въ СПБ. 5 р. 50 к.
Съ доставк. въ СПБ. 6 р. 50 к.
Безъ доставки: 1) въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской—6 р. 25 к., 2) въ Одессѣ, въ книжн. магаз. „Образованіе"—6 р. 50 к.
Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Россіи .
За границу [illegible]
Разсрочка платежа въ 2 срока

Даетъ въ теченіе **одинаго 1899 года** своимъ подписчикамъ

# БЕЗПЛАТНО

полное собраніе сочиненій

# Гончарова

**Содержаніе: томъ I.** Портретъ и факсимилэ И. А. Гончарова.—Біо[графи]ческій очеркъ С. А. Венгерова.—Лучше поздно, чѣмъ никогда. Кр[итическія] замѣтки.—Обыкновенная исторія. Ром. въ 2-хъ частяхъ. Ч. I. **Томъ II.** О[быкно]венная исторія. Ром. въ 2-хъ ч. Ч. II. **Томъ III.** Обломовъ. Ром. въ [4-хъ] ч. Ч. I и II. **Томъ IV.** Обломовъ. Ром. въ 4-хъ ч. Ч. III и IV. **Томъ V.** Ф[ре]гатъ Паллада. Очерки путешествія, въ 2-хъ ч. Ч. I. Главы I—V. **Томъ** [VI.] Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. I. Гл. VI—VIII. Ч. II. Г[л.] I—IV. **Томъ VII.** Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. II. Гл. IX. **Томъ VIII.** Обрывъ. Ром. въ 5-ти ч. Ч. I и II **Томъ IX.** Обрывъ. [Ром.] въ 5 ч. Ч. III. **Томъ X.** Обрывъ. Ром. въ 5 ч. Ч. IV и V. **Томъ XI.** [Три] очерка: I. Литературный вечеръ. II. Мильонъ терзаній. III. Замѣтки о [лич]ности Бѣлинскаго.—Иванъ Савичъ Поджабринъ. Очеркъ. **Томъ XII.** Восп[омин]анія: I. Въ университетѣ. II. На родинѣ.—Слуги стараго вѣка. I. В[ален]тинъ. II. Антонъ. III. Степанъ съ семьей. IV. Матвѣй.—Очерки: Пре[врат]ность судьбы. Май мѣсяцъ въ Петербургѣ.

**12 КНИГЪ** «Ежемѣсячныхъ литерат. приложеній» (романы, повѣсти, [раз]сказы, популярно-научныя статьи и пр. современ. автор[овъ]).

**12 №№** «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ» [до 300 модныхъ гравюръ по [пос]лѣднимъ фасонамъ лучшихъ мастеровъ).

**12 №№** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ въ натур[аль]ную величину (около 600 рисунк. и чертеж ). СТѢННОЙ [КА]ЛЕНДАРЬ на 1899 г., печатан. красками.

**Иллюстрированное объявленіе высылается безплатно.**

Требованія адресовать въ Главную Контору журнала „НИВ[А"]

С.-Петербургъ, Малая Морская, 22. (12—